საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

1912-01-2-201904221126

N 01/1912
22/04/2019

სსიპ სხელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 10 აპრილის №6/20955 წერილი, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში მდებარე 3854 კვ.მ. არასასოფლი-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 61.11.21.927) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს აბასთუმნის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დამუშავება, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება ორი ფუნქციური ზონა - საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 2 (სრზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)(იხ. დანართი).

ამასთანავე, ვინაიდან მიმდებარედ განთავსებულია ქაოსურად გამიჯნული მიწის ნაკვეთები, ტერიტორიის შემდომი განვითარება უნდა მოხდეს მომიჯნავე ტერიტორიებთან ერთიანი ხედვით დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ, აღნიშნული დოკუმენტაციით დადგენილი პირობებისა და პარამეტრების გათვალისიწნებით.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი